პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა
29 იანვარი,
1956 წელი
№ 9 (919)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-12 წელი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

27 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

დილის 11 საათია. პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, მისი მოადგილეები ვ. დ. კოზაევი, ლ. კ. ...აზაძე.

...ლოჟებში არიან ვ. პ. მჟავანაძე, ... დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ... პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, ... ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, მ. ი. ...უქავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, ... ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე.

სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მოხსენება საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ბ. ა. ...ხეიძემ. იგი ლაპარაკობს სამუშაოთა ...იდებულ პროგრამაზე, რომლებიც ...სახულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით. საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ხმარდება იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წინაშეა დასახული მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს. ...ვი ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ...რუნვას საბჭოთა საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ...ცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

თანამოხსენება საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ... ვ. შირაქაძემ.

დაიწყო კამათი საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო.

27-28 იანვარს გრძელდებოდა გაბაასება მოხსენებისა საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმულოვნად დაამტკიცა საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. მუხლობრივად, შემდეგ კი მთლიანად ერთხმად დამტკიცდა „კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებანი.

დღის წესრიგის საკითხები ამოწურულია. საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია დახურულად ცხადდება.

## კორტინადან



26 იანვარს „ყინულის სტადიონზე“ შეიკრიბნენ ოლიმპიური თამაშების მონაწილენი, სტუმრები. შეჯიბრების გახსნის ცერემონია დაიწყო 32 ქვეყნის ალმის აღმართვით, სტადიონზე შემოდიან შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების დელეგაციები, რომლებსაც ტრადიციის მიხედვით წინ მიუძღვის საბერძნეთის კოლექტივი. როცა სტადიონზე ყველა გუნდი მოეწყო, იტალიის პრეზიდენტმა გრონკიმ ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები გახსნილად გამოაცხადა. აფრიალდნენ ოლიმპიური ალმები. ჰაერი გაჰკვეთა ქვემეხთა ზალპმა. შემდეგ ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში, რომელიც 22 იანვარს რომში აანთო, სტადიონზე შემოვიდა იტალიის ჩემპიონი ციგურებით რბენაში ვ. კაროლი. აგიზგიზდა ოლიმპიური კოცონი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე ყველა სპორტსმენის სახელით იტალიელმა მოთხილამურე ქალმა დ. კენალ-მინუცომ წარმოსთქვა ოლიმპიური ფიცი. გახსნის ცერემონია დამთავრდა. დაიწყო პირველი შეხვედრები.

ჰოკეისტთა ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობს 10 ქვეყნის გუნდი, რომლებიც დაყოფილი არიან სამ ქვეჯგუფად. იტალიისა და ავსტრიის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2, კანადამ მოუგო გერმანიას—4:0. მეორე დღეს თამაშობდნენ აშშ-სა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. მეტად დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ჩეხებმა—4:3. კანადისა და ავსტრიის გუნდების შეხვედრაში კანადელები თითქმის არ მოსცილებიან მოწინააღმდეგის კარს. მათ 23-ჯერ გაიტანეს შაიბა, ისე, რომ თავის კარში არც ერთი არ მიუღიათ. სსრ კავშირისა და შვეციის გუნდების შეხვედრაში აშკარა იყო საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა, რომლებმაც მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 5:1. იტალიისა და გერმანიის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

30 კილომეტრზე რბენაში ძლიერ მოწინააღმდეგეებზე ადრე სტარტი აიღეს საბჭოთა მოთხილამურეებმა ვ. კოლჩინმა, ა. შელიუხინმა, ვ. კუზინმა და ფ. ტერენტიევმა, რომელთა შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ 1952 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ამ დისტანციაზე ვ. ჰაკულინენი (ფინეთი) და ს. ერნბერგი (შვეცია). მათ კარგად გამოიყენეს ეს უპირატესობა და გაიმარჯვეს. ვ. ჰაკულინენმა აჩვენა 1:44.6, ხოლო ს. ერნბერგმა — 1:44.30. მესამე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა მოთხილამურე ვ. კოლჩინი 1:45.45. გიგანტურ სლალომში საბჭოთა სპორტსმენი არტემოვი შეჯიბრების წესის დარღვევისათვის მოიხსნა პირველობიდან, ხოლო სიდოროვა, რომელიც წაიქცა დისტანციაზე ფინიშთან მხოლოდ 41-ე მივიდა. პირველობა და მასთან ჩემპიონის სახელი მოიპოვა გერმანელმა რეიპერტმა — 1.56.5. მეორე ადგილზეა ავსტრიელი ფრანდლი — 1.57,8, მესამეზე ჰოხლეიტნერი (ავსტრია) — 1.58.2.

საინტერესო გამოდგა ციგურებით 500 მეტრზე რბენა. ბრწყინვალე ოსტატობა გამოავლინა საბჭოთა სპორტსმენმა ე. გრიშინმა, რომელმაც დისტანცია დაფარა 40,2 წამში. ეს შედეგი ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდია. მეორე ადგილი დაიკავა [illegible] (სსრ კავშირი) — 40,8.

ქალთა შორის 10.000 მეტრზე რბენაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა ლ. კოზირევა, შედეგით 38 წუთი და 1 წამი. მეორე ადგილზეა ერიომინა — 38 წუთი, 16 წამი.

## ჩვენი გაზეთის რეიდი

ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული სპორტული ბაზის — ლუჟნიკის მოედანი კომბინატის ტერიტორია ხარაჩოებითაა შემოჯარული. ყოველდღიურად სულ მაღლა და მაღლა მიდის რკინა-ბეტონის ნაგებობანი, მშენებლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ნაკისრ ვალდებულებათა ხარისხოვნად და დროულად განაღდებისათვის. ლუჟნიკი ემზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილეთა მისაღებად. ემზადებიან მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები. ყველას ერთი მიზანი ამოქმედებთ — საპატიო ადგილი მოიპოვონ ხალხთა მომავალ სპარტაკიადაზე, ამრავლონ საბჭოთა სპორტის წარმატებები.

ასევე ენერგიული მზადებაა ჩვენს რესპუბლიკაში. დედაქალაქის საუკეთესო სპორტულ ბაზებზე კარგა ხანია წვრთნას გადიან საქართველოს ნაკრები გუნდები. კალათბურთელები, ფრენბურთელები სრულყოფენ თამაშის ტექნიკასა და ტაქტიკას, მძლეოსნები იბრძვიან რაც შეიძლება მაღალი შედეგების მოსაპოვებლად, ტანმოვარჯიშეები სულ უფრო ხვეწენ სპორტის ამ სახეობის ილეთებს. ასევე ოსტატდებიან ცხენოსნები, მოჭიდავეები, მოფარიკავეები, ფეხბურთელები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

ამას წინათ ჩატარდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრებისა და მწვრთნელების შეკრება, რომელმაც გამოავლინა სასწავლო-საწვრთნელ საქმიანობაში არსებული, როგორც დადებითი, ისე ბევრი უარყოფითი მხარე. რედაქციამ მიიღო მრავალი წერილი, რომლებშიც მკითხველები გვთხოვენ ჩვენი გაზეთის საშუალებით ფართოდ გავაშუქოთ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, ვამხილოთ მათს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი. ამ მიზნით ჩვენი გაზეთი აწყობს რეიდს, რომლის პირველ შედეგებს ვაქვეყნებთ დღევანდელ ნომერში.

პირველ დღესვე რეიდის მონაწილეებმა რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მუშაობაში მრავალი ნაკლოვანება შენიშნეს, რომელთა შესახებ ახლავე უნდა ავიმაღლოთ ხმა. რა ფასი ექნება ისეთ საწვრთნელ ვარჯიშს, რომელსაც სპორტსმენთა 50 პროცენტი ესწრება? ასეთი შემთხვევები მოკრივეთა შეკრებაზე ხშირია. მოკრივე ნ. დარბაისელი მეცადინეობას მხოლოდ 2-ჯერ (!) დაესწრო. მოკრივე კ. ბაბახანიძე დიდი ხანია არ ვარჯიშობს. ამაში ბრალი მარტო სპორტსმენებს როდი მიუძღვით, დამნაშავე არიან ის სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებიც, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან ისიც შესამჩნევია, რომ სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები რატომღაც განზე დგანან საქართველოს ნაკრები გუნდების საწვრთნელი მეცადინეობებისაგან, ნაკლებად ინტერესდებიან იმ სპორტსმენთა ბედით, რომლებიც უმიზეზოდ აცდენენ სამეცადინო დღეებს. საქმე მოითხოვს, რომ სპორტსაზოგადოებებმა ნაკრები გუნდების წვრთნაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

თავდაპირველად ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის წვრთნაში ბევრი ნაკლოვანება იყო. მაგრამ მუშაობა თანდათან გამოსწორდა და ვარჯიშებმაც ნორმალური ხასიათი მიიღო.

ძალზე ცუდი მდგომარეობაა ჩოგბურთელთა შორის. აქ ისეთი ქაოსია გამეფებული, რომ ნაყოფიერ წვრთნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ჩოგბურთელები და მწვრთნელები ერთმანეთში კინკლაობენ. ვ. ურაევსკის, გ. კოკაიას და ი. ელერიძაშვილს მრავალჯერ ღირსეულად დაუცავთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული სახელი საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებზე, მაგრამ ახლა ისინი გუნდის გამთიშველთა, დეზორგანიზატორთა როლში გამოდიან. ეს იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში დაბალ დონეზეა პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, რაც მთავარია, მწვრთნელთა სამუშაო გეგმაში ერთი მუხლიც არაა შეტანილი, რომელიც სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელობით მუშაობას შეეხებოდეს

როგორც ვხედავთ ნაკლოვანებები არის. ისინი სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას. ამჟამად საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა, რათა დარჩენილი ექვსი თვის განმავლობაში ენერგიული შრომით მკვეთრად ავამაღლოთ ყველა ნაკრები კოლექტივის სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დონე, და რაც მთავარია, გავაუმჯობესოთ პოლიტაღმზრდელობითი საქმიანობა. ამისათვის კი დაგვჭირდება მკაცრი კონტროლი დავაწესოთ მწვრთნელთა და სპორტსმენთა მუშაობაზე, მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ წარმატებას, მხოლოდ ამ გზით შევძლებთ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საპატიო ადგილის დაკავებას.

## XXIII ჩემპიონატი

დამთავრდა შეჯიბრების პირველი ნახევარი. ლიდერობას კვლავ ახალგაზრდა გროსმაისტერი ბ. სპასკი ინარჩუნებს. მას ახლა 7 ქულა აქვს.

ენერგიულად იბრძვიან გროსმაისტერები ავერბახი და ტაიმანოვი, რომელთაც 6-6 ქულა მოაგროვეს. X ტურში ტაიმანოვმა ჩინებული თამაშით გაიმარჯვა სიმაგინთან, ხოლო ავერბახმა შეხვედრა რაგოზინთან ყაიმით დაამთავრა. ოსტატ ტალს და საერთაშორისო ოსტატ კორჩნოის 5,5-5,5 ქულა აქვთ, მაგრამ ტალს გადადებული პარტია აქვს ტაიმანოვთან (თანაბარ მდგომარეობაში), ხოლო კორჩნოის რაგოზინთან (უარეს პოზიციაში) და ტოლუშთან (თანაბარ მდგომარეობაში). ტალსა და კორჩნოის კვალდაკვალ მიჰყვებიან გროსმაისტერი ბოლესლავსკი, ოსტატები ხოლმოვი და ბორისენკო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოსკოველი ოსტატი სიმაგინი საკავშირო პირველობებზე სისტემატურად თამაშობს თავის შესაძლებლობებზე ნაკლები ძალით. მას გათამაშებულ 10 ტურში არც ერთი პარტია არ მოუგია და მხოლოდ 1,5 ქულა აქვს მოგროვილი. ჯერჯერობით არც ერთი პარტია არ მოუგიათ ლენინგრადელ ოსტატებს ლისიცინს და ბივშევსაც.

შეჯიბრება გრძელდება.

## ხუთი ჩემპიონი

ტალინში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: მჭედლიშვილი, მაისურაძე, ჩლიქაძე, გაბარაევი და დაუშვილი. ხუზაშვილი გამოვიდა მეორე ადგილზე. მესამე ადგილები წილად ხვდათ: არსენიანს, ჯარიაშვილსა და ქარქუსაშვილს.

## სპორტულ ჟურნალისტთა საკავშირო სექცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა ჩამოაყალიბა და დაამტკიცა სპორტული ჟურნალისტების საკავშირო სექციის შემადგენლობა.

სპორტული ჟურნალისტების საკავშირო სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეა პ. სობოლევი (ჟურნალი „ფიზკულტურა ი სპორტი“), მოადგილეები არიან ნ. ლიუბომიროვი (გაზეთი „სოვეტსკი სპორტი) და ვ. ხომსკოვი (გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“), პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანია ა. კულეშოვი (გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“). პრეზიდიუმის წევრები არიან. ვ. პოლშანსკი (გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“), მ. კისელევი (გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“). პ. ბესმერტნი (გაზეთი „რადიანსკი სპორტი“). ნ. ოზეროვი (რადიოკომიტეტი), მ. მერჟანოვი (ჟურნალი „ოგონიოკი“), ვ. კონკოვი (გაზეთი „პრავდა“), ა. ერმაკოვი (საკდესის უცხოეთის განყოფილება), ვ. პაშინინი (გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“), ა სოკოლოვი (ჟურნალი „სპორტივნიე იგრი“), ბ. კოსვინცევი (ჟურნალი „ლიოგკაია ატლეტიკა“); სექციის წევრები არიან: შ. მელიქ-ფაშაევი (რადიოკომიტეტი), ა. არქანოვი (რადიოკომიტეტის უცხოეთის გადაცემათა რედაქცია), ი. ბორისოვი (საკდესი), ა. ვოლკოვი (ჟურნალი „თეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტური“), მ. ალექსანდროვი (ჟურნალი „მოლოდოი კოლხოზნიკ“), ე. კაიტმაზოვი (ფიზკულტურისა და სპორტის ცენტრალური კვლევითი ინსტიტუტი), ი. ტროფიმოვი (მწერალი), ე. სიმონოვი (ჟურნალისტი), ლ. კასილი (მწერალი), ბ. პავლიუჩენკოვი (გაზეთი „ფიზკულტურნიკ ბელორუსიი“), ი. კოვალიოვი (გაზეთი „ფიზკულტურნიკ უზბეკისტანა“), მ. მირიევი (გაზეთი „ფიზკულტურნიკ აზერბაიჯანა“), ი. უგულავა (გაზეთი „ლელო“, საქართველო), მ. ილციკაიჩუსი (ჟურნალი „სპორტასი“, ლიტვა), ა. რუნცისი (გაზეთი „სპორტსი“, ლატვია), ს. სუსანი (ჟურნალი „კეხაკულტურ“, ესტონეთი), ა. პროროკინი (გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“). პ. ოტკალენკო (გაზეთი „კრასნაია ზვეზდა“), ე. რუბინი (გაზეთი „იზვესტია“), ი. ვანიატი (გაზეთი „ტრუდ“) და დ. სინიუტინი (გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეც“).

ჩვენი გაზეთის რეიდი

ნაკრები

# გუნდების წევრებო და მწვრთნელებო!

# რესპუბლიკის მშრომელები თქვენგან მოელიან მაღალ სპორტულ შედეგებს, საპატიო ადგილს ხალხთა სპარტაკიადაზე!

## „გვირგვინოსნები“ კვლავ გვირგვინოსნობენ

საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები ვუნდი შეკრებაზეა... სხვა ღონისძიებასთან ერთად მწვრთნელთა საბჭომ სპორტსმენთა ძალების გასასინჯად შეჯიბრების მოწყობა გადაწყვიტა. რა არის ამაში ცუდი? არაფერი. პირიქით, იგი საშუალებას მისცემს მწვრთნელებს და ჩოგბურთელებს გაამახვილონ ყურადღება ნაკლოვანებებზე. ეს არის და ეს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების განხორციელების წინ აღუდგა ნაკრების რამდენიმე წევრი. ოპოზიციას მეთაურობს ცნობილი ჩოგბურთელი გ. კოკაია. მას მხარს უჭერენ საქართველოს წამყვანი სპორტსმენები ი. ელერდაშვილი და ვ. ურაევსკი. ათასი მიზეზი გამონახეს ვანაწყენებულმა ჩოგბურთელებმა: კორტი, რომელზედაც უნდა მოეწყოს შეჯიბრება არ ვარგაო (რბილია, ან ბაგარი, უსწორმასწოროაო და სხვ.), ჩატარებულია მხოლოდ ოთხი სერიოზული ვარჯიშიო, შეჯიბრების მოწყობა მიზანშეწონილი არ არისო. მოსაზრებები უდაოდ საგულისხმოა. მაგრამ...

აქ არის მეორე, უფრო ნამდვილი მიზეზი. საქმე იმაშია, რომ ნაკრები გუნდის სხვა დანარჩენი წევრები, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ღარიბაშვილი, ვერულავა, ჭარხალაშვილი თავს კარგ სპორტულ ფორმაში გრძნობენ და მათან თამაში „ოპოზიციონერებს“ გაუჭირდებათ. მერე და რა. ეს ხომ მხოლოდ საწვრთნელი შეჯიბრებაა. ცხადია „გვირგვინოსნებს“ სახელის „შებღალვის“ ეშინიათ. მოედანი თუ მოუმზადებელია, იგი ხომ თანაბრად უვარგისია ორივე მხარისათვის?

და აი, ხანგრძლივი მოლაპარაკების, ათასგვარი დემარშების შემდეგ გადაწყდა შეჯიბრების დაწყება. ახლა შევეცდებით მოკლედ მოგითხროთ თუ როგორი სცენა გათამაშდა შეჯიბრების დაწყებამდე.

ჩოგბურთის კორტები. სამ საათს (შეჯიბრების დაწყების დროა) რამდენიმე წუთი აკლია. შეკრების ყველა მონაწილე ადგილზეა. სპორტსმენთა ნაწილი ვარჯიშობს კედელთან. წინა პლანზე გამოდის კოკაია.

**კოკაია** — დავიწყ ით ვარჯიში?

(მწვრთნელებსა და ხელმძღვანელებში გაოცებაა.) როგორ თუ ვარჯიში! დღეს ხომ შეჯიბრებას ვატარებთ.

**კოკაია** — მე შეჯიბრებაში მონაწილეობას არ მივიღებ. ვთქვი ერთხელ და გათავდა.

**შეკითხვა** — კი მაგრამ თქვენ ხომ იცოდით, რისთვისაც იყავით დღეს დაბარებული?

**კოკაია** — ასეთ მოედანზე გამოსვლა სისულელეა. მე არ ვითამაშებ.

**ი. ელერდაშვილი** — რას დაიჩემეთ ეს შეჯიბრება. ვივარჯიშოთ. ეს უფრო ბევრს შეგვმატებს.

**ურაევსკი** — (მშვიდად, ყოველგვარი რეაქციის გარეშე) მეც ამ აზრისა ვარ, თუმცა წაგების სრულებით არ მეშინია. (მწვრთნელებს) სჯობს ისევ ჩვენ გაგვიფრთხილდეთ, მოგვეფეროთ, თორემ! რესპუბლიკა ჩოგბურთელთა გარეშე დარჩება.

მოედანზე დაბნეულებაა. წინა პლანზე კვლავ კოკაია გამოდის. იწყება პათეტიური მონოლოგი.

**კოკაია** — პატივცემულო მწვრთნელებო (სადღაც ფულში ღიმება) თქვენ გგონიათ ჩვენთვის არ არის ცნობილი ამ შეჯიბრების არსი? გეტყვით პირდაპირ. შეჯიბრების შემდეგ ნაკრები გუნდი რამდენიმე კაცმა უნდა დატოვოს. აი, რა მიზანს ემსახურება თქვენი ღონისძიება. ეს არ არის კეთილშობილური საქმე, განვაგრძოთ ვარჯიში ანდა... (ეძებს მიზეზს, რომ შეჯიბრება ჩაშალოს) ანდა... წინადადება მემომაქვს გავსინჯოთ „დინამოს“ კორტები. რას იტყვით ამაზე?

**მწვრთნელი** — სპორტსმენებო! რა შუაშია „დინამოს“ კორტების დათვალიერება, მოგიწოდებთ წესრიგისაკენ. ნუ ჩაშლით შეჯიბრებას!

**კოკაია** — (შუბლშეჭმუხნილი და გაბრაზებული) არა და არა! ჩემი სიტყვა მტკიცეა. გათავდა.

კოკაია, ელერდაშვილი და ურაევსკი შედიან გასახდელში და ემზადებიან „დინამოს“ კორტზე წასასვლელად. შეკრების სხვა მონაწილეებში აღშფოთებაა. ისმის შეძახილები: „რატომ უნდა ვიაროთ ყველამ კოკაიას კაპრიზებზე“, „საჭიროა შეკრების ხელმძღვანელობამ გადამწყვეტი ზომები მიიღოს“, „კმარა გვირგვინოსნობა“...

* * *

გუნდი გაიყო ორად. ნაწილი დარჩა სავარჯიშოდ, ნაწილი კი „დინამოს“ კორტების შესამოწმებლად წავიდა. ჩვენ არ ვიცით „ოპოზიციამ“ ეს არაფრის მთქმელი შემოწმება ჩაატარა თუ არა. არც არის საინტერესო. მთავარია, რომ მათ შეგნებულად ჩაშალეს საწვრთნელი პროცესის ნორმალური მსვლელობა, რომ ისინი ვერ გრძნობენ თავიანთ დანაშაულის სიმძიმეს.

რესპუბლიკის მშრომელები დიდ პატივს სცემენ იმათ, ვინც არაერთხელ დაიცვეს საქართველოს სპორტის ღირსება საკავშირო შეჯიბრებებში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ ყველაფერს ვაპატიებთ.

**ს. კარიჭაშვილი,**
**ს. დოდაშვილი,**
**პ. კოხრეიძე.**



## აქ ნაყოფიერი წვრთნაა გაჩაღებუ

ჯერ კიდევ შორიდან, საქართველოს სამხედრო გზის მხრიდან გამოჩნდნენ მტკვარზე მოცურავე ნავები. ამინდი მშვენიერი, მზიანი იყო. დრო ნაადრევ გაზაფხულისას უფრო გავდა, ვიდრე იანვრის მიწურულს. ზამთარი მტკვრის ნაპირზე შერჩენილი ყინულის დანახვით თუ მოგაგონებდათ თავს.

საქართველოს ნიჩბოსნები ბუნების ასე ხელშეწყობას ყოველმხრივ იყენებენ. მცხეთის წყალქიმარდობის სადგური ხმაურობდა ისე, როგორც სპორტული სეზონის შუაგულში. ამ დღეს შეჯიბრებას ატარებდნენ ნიჩბოსანთა ნაკრების წევრები. ერთი მეორეზე ფინიშის ხაზს ჰკვეთდნენ ბაიდარები, კანოე, ისევ ბაიდარები. მსაჯებს დრო შეჰქონდათ ოქმებში. აჯამებდნენ შედეგებს, სპორტსმენთა მზადყოფნას...

ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდი ენერგიულად ემზადება სპარტაკიადისათვის. საქართველოში ნიჩბოსნობა არასდროს არ ყოფილა ისე განვითარებული, როგორც ვთქვათ კალათბურთი, ტანვარჯიში ან ფეხბურთი. შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩვენი რესპუბლიკისათვის სპორტის შედარებით ახალი სახეა. სწორედ ამიტომ იმ სპორტსმენების წინაშე, რომლებმაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში უნდა მიიღონ მონაწილეობა, საპასუხისმგებლო ამოცანა დგას.

ამას კარგად გრძნობენ შეკრების მონაწილეები და მწვრთნელები. გრძნობენ და ვარჯიშობენ ენერგიისა და ძალების დაუზოგავად.

როდესაც ხალხი საქმეს ასეთი ენთუზიაზმით ჰკიდებს ხელს, მას მზრუნველობა და მხარდაჭერა არ უნდა მოვაკლოთ. ნიჩბოსნები არ საყვედურობენ, სასაყვედურო კი აქვთ.

აი მაგალითად, სპორტსმენმა, რომელმაც ახლახან დაამთავრა 10-კილომეტრიანი დისტანცია, შხაპს უნდა მიაშუროს. მაგრამ შხაპი არსად არის. როდესაც მცხეთის ტურბაზასთან იდებოდა ხელშეკრულება სპო[...] თათვის საცხოვრებელი ბინ[...] სათმობად, იქ შხაპიც იყო ნა[...] ვი. მაგრამ ტურბაზის ხელ[...] ლობამ ეს მეორეხარისხოვან[...] ჩათვალა. ამის შედეგად ხში[...] სურათს ვხედავთ:

სპორტსმენები ვარჯიშის [...] მიდიან მცხეთაში შხაპის საძე[...] მაგრამ ამაოდ. რჩება ერთად-[...] მოსავალი — თბილისში ჩამო[...] აქ „სანატრელი შხაპის“ მიღე[...] მოცამდე კილომეტრის გაკეთე[...] ლოდ ამ მიზნისათვის, მართლ[...] ლი საქმეა, მაგრამ სხვა გზა არ[...]

ან და, ვთქვათ, საცხოვრებელ[...] ბის გათბობა. ვიანიდან [...] იკისრა სპორტსმენთა მიღე[...] გათბობაც უნდა უზრუნველეყ[...] ჯიშის შემდეგ დაღლილ [...] სმენებს კი ხშირად უხდებათ[...] შეშაზე წასვლა. ეს ნაკლო[...] აღმოფხვრილი უნდა იქნას [...] ხანში.

საყოველთაოდ ცნობილია, [...] ლექტიურ, ერთობლივ წვრთ[...] ცილებით მეტი სარგებლობა[...] სპორტსმენისათვის, ვიდრე [...] დუალურ ვარჯიშს. ამ მხრი[...] რით არ არის გამართლებული[...] რი ნიჩბოსნების გლოკისა და[...] კოვის წვრთნა ფოთში. გა[...] მეტ ნაყოფს გამოიღებდა სპორ[...] თა ცენტრალიზებული ვარჯიში[...]

ასეთსავე მდგომარეობაშია [...] თი ბათუმელი ნიჩბოსანი, [...] ყოფნა მცხეთაში აუცილ[...]

სავარჯიშო დრო ჯერ კიდე[...] რია. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ხან[...] მავლობაში ჩვენი რესპუბლიკ[...] ბოსნები აიმაღლებენ ოსტატო[...] საკავშირო სპარტაკიადაზე [...] ლად დაიცავენ საქართველოს [...] ტულ ღირსებას.

**ნ. ახვლედი[...]**
**ს. ერგემლ[...]**
**უ. ჭიჭინ[...]**

## არის ხელისშემშლელი პირობები

საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები გუნდები კარგა ხანია შეუდგნენ მზადებას სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. საწვრთნელ შეკრებებს ხელმძღვანელობენ ა. თევოსიანი (ვაჟთა გუნდი) და ე. ანტონოვი (ქალთა გუნდი).

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური და საქალაქო კომიტეტების სექციები, ნათი აქტივი, მსაჯები, მწვრთნელები თავიდანვე მონდომებით ჩაებნენ საერთო საქმიანობაში, ისინი ესწრებოდნენ მეცადინეობებს, მონაწილეობას ღებულობდნენ სადავო საკითხების განხილვაში, ეხმარებოდნენ მწვრთნელებსა და მოთამაშეებს

დასაწყისში იყო შემთხვევები, როცა ნაკრები გუნდების ცალკეული წევრები, განსაკუთრებით სტუდენტები, რომლებიც გამოცდებს აბარებდნენ, ხშირად აცდენდნენ წვრთნის დღეებს. ამის გამო ძირითადი გუნდებიც კი კარგა ხნის განმავლობაში ვერ ვარჯიშობდნენ სრული შემადგენლობით, მაგრამ შემდგომში მომეცადინეთა დასწრებამ ვარჯიშზე სისტემატური ხასიათი მიიღო და გუნდები ახლა უკლებლივ გადიან წვრთნას.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საწვრთნელი შეკრება წარმატებით მიმდინარეობს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც დღემდე აქვს ადგილი.

ყოვლად დაუშვებელია ის მდგომარეობა, რომ საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდებს სპარტაკიადისათვის მზადების პროცესში არ გააჩნია სპორტის დამსახურებული ოსტატის დ. ოისელიანის მიერ კონსტრუირებული მოწყობილობა. მისი დამზადება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ ჯერჯერობით, რატომღაც, არვინ არ იწუხებს თავს, რომ ფრენბურთელებს ჰქონდეთ მათთვის უაღრესად საჭირო ინვენტარი. ამ ინსტრუქციას დიდი წარმატებით იყენებენ მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი სპორტსმენები, მან გამოყენება ჰპოვა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც და მხოლოდ აქ, თბილისში არ გააჩნიათ იგი ფრენბურთელებს. და ეს მაშინ, როცა ზემოხსენებული მოწყობილობა სპორტსმენებს გამოუმუშავებს მხტომელობას. გამძლეობას, რეაქციას, სისწრაფეს, კოორდინაციას.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას რომ მეცადინეობებს ერთფეროვანი სახე აქვს. მოთელვა, ცალკეული ილეთების დამუშავება, ორმხრ[...] მაშები ხშირად წაგავს ერთმ[...] ამიტომ საჭიროა წვრთნაში მეტ[...] ვალფეროვნების, სიახლისა და[...] ლისის შეტანა. საამისოდ ზედმ[...] იქნება, თუ მეცადინეობის [...] ნაწილს ზოგჯერ ჩაატარებს, [...] მძლეოსნობის ან სხვა რომელ[...] ხეობის წარმომადგენელი. ეს [...] ცოცხლებს ვარჯიშს.

ეს ნაკლოვანებები, რომ[...] დღეისათვის აქვს ადგილი ფრ[...] თის საწვრთნელ შეკრებაში, არ[...] ლი გამოსასწორებელი. მაშინ [...] ბას კიდევ მეტი ნაყოფი და [...] ექნება.

**გ. შეყრილ[...]**
**ვ. კახ[...]**

## რატომ არ დადიან წვრთნაზე მოკრივეები?

გასული წლის დამლევამდე ნაყოფიერად მუშაობდა მოკრივეთა რესპუბლიკური ნაკრები (უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. გორგასლიძე, მწვრთნელები: სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ნავასარდოვი, სპორტის ოსტატი ბ. მელაძე და გ. ჯანაშია). სისტემატურად ეწყობოდა დამხმარე და სპეციალური ვარჯიშები, სათანადო სიმაღლეზე იდგა პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა და სხვ. ასე იყო მხოლოდ რესპუბლიკური პირველობის დაწყებამდე. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკური ნაკრების წევრთა უმეტესობა შეკრებაზე აიყვანა ფიზკულტურის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, რომელიც უკრაინასთან მატჩისათვის ემზადებოდა. მატჩი არ შედგა. უქმად გაიარა ძვირფასმა დრომ 23 დეკემბრიდან 16 იანვრამდე. უყურადღებოდ დარჩენილი სპორტსმენები დაიფანტნენ. საქმეში ჩაერია რესპუბლიკური კომიტეტი, ვარჯიში განახლდა, მაგრამ როგორ?

ნაკრების წევრთა ნაწილი სისტემატურად არ დადის მეცადინეობაზე, ხშირად ვარჯიშებს მონაწილეთა 50 პროცენტი ესწრება. ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე ნ. დარბაისელი, რომელიც მაგალითის მიმცემი უნდა იყოს სხვებისთვის, დღემდე მხოლოდ ორ მეცადინეობას დაესწრო. „პიშჩევიკის“ რესპუბლიკურ საბჭოს ეს ამბავი ოდნავადაც არ აწუხებს — ერთხელაც არ დაინტერესებულა შეესწავლა ნ. დარბაისელის მიერ ვარჯიშების გაცდენის მიზეზი და სათანადო ღონისძიება მიეღო.

ხშირია უმიზეზოდ დაგვიანება. 25 იანვარს მოკრივე ო. ბარნაბიშვილი წვრთნაზე ნახევარი საათით დაგვიანებით გამოცხადდა. უფროსი მწვრთნელის მითითების მიუხედავად, იგი 40-წუთიანი პასიური ვარჯიშის შემდეგ მეცადინეობიდან დაუკითხავად წავიდა.

ეს და სხვა მრავალი უწესრიგობანი იმაზე მეტყველებენ, რომ მოკრივეთა რესპუბლიკური ნაკრების წევრთა შორის არასათანადო სიმაღლეზე დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული ის დიდი ამოცანა, რომელიც სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში რესპუბლიკის ყველა სპორტსმენის წინაშე დგას. მწვრთნელთა სამუშაო გეგმებში არ არის გათვალისწინებული პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, შეკრების პოლიტხელი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ჭ. ჭყონია ერთხელაც არ მისულა მეცადინეობაზე.

წვრთნა უფრო შედეგიანი იქნებოდა, დღის რეჟიმი უფრო მკაცრად შესრულდებოდა, რომ ნაკრების წევრები ერთად ცხოვრობდნენ, და რადგანაც ეს პირობა ჯერ არაა შექმნილი, ჩვენ უფლ[...] გვაქვს საქმე თვითდინებაზე [...] ვათ. მწვრთნელები არ უნდ[...] ყოფილიყვნენ იმით, რომ[...] დინეობაზე 20 მოკრივის ნაც[...] 5 გამოცხადდება. საჭიროა მეტ[...] ტივობა და მომთხოვნელობა [...] ჩენა. რას აკეთებს კრივის რ[...] ლიკური სექცია, იცის თუ არ[...] ეს ამბავი? რას აკეთებენ სპო[...] ლი საზოგადოებები, როდესაც [...] სპორტსმენები ასე ზერელედ [...] ბიან ამ საერთო საქმეს, ნუთუ [...] დაძაბულ პერიოდშიც მათთვი[...] ვარი მაინც საუწყებო ინტერე[...]

**ო. გელაშვი[...]**
**ს. გაგნი[...]**
**ვ. მელიქსეტო[...]**




ზამთრის საკავშირო შეჯიბრებას ფრენბურთში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. 1933 წლიდან დაწყებული შეჯიბრება დახურულ დარბაზში ტარდებოდა ქალაქების ნაკრებ გუნდებს შორის, 1954 წელს კი მასში პირველად მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

წელს ზამთრის შეჯიბრების დებულებაში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილება: იგი ტარდება სხვადასხვა ქალაქებში როგორც „ა" ისე „ბ" კლასის გუნდებს შორის რამდენიმე ტურის სახით.

დღემდე ჩატარებულ შეჯიბრებებში გამარჯვებული მეტწილად გამოდიოდნენ მოსკოვის გუნდები. გასულ წელს პირველი ადგილები დაიკავეს მოსკოვის ქალთა და რსფსრ-ს ვაჟთა გუნდებმა.

* * *

ანალოგიურად წარმოებს გათამაშება კალათბურთშიც. მოგვყავს დღემდე ჩატარებულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა სია.

1936 წელს ვაჟთა შორის გაიმარჯვა ლენინგრადის გუნდმა, ქალთა შორის—მოსკოვის კოლექტივმა, 1938 წელს კი მოსკოვის „დინამოს" (ვაჟთა) და „ლოკომოტივის" (ქალთა) გუნდებმა. 1939 წელს გაიმარჯვეს თბილისის ვაჟთა და მოსკოვის ქალთა გუნდებმა.

მომდევნო წლებში პირველ ადგილებზე იყვნენ: 1940 წელი — მოსკოვი (ვაჟები), მოსკოვი (ქალები); 1941 წელი — ტარტუ (ვაჟები), მოსკოვი (ქალები); 1945 წელი — მოსკოვი (ვაჟები), მოსკოვი (ქალები); 1946 წელი — ტალინი (ვაჟები), მოსკოვი (ქალები); 1947 წელი — მოსკოვი (ვაჟები), მოსკოვი (ქალები); 1948 წელი— კაუნასი (ვაჟები), მოსკოვი (ქალები), 1949 წელი — კაუნასი (ვაჟები), მოსკოვი (ქალები), 1950 წელი — ტარტუ (ვაჟები), მოსკოვი (ქალები), 1951 წელი — რიგა (ვაჟები), მოსკოვი (ქალები), 1952 წელი — თბილისი (ვაჟები), მოსკოვი (ქალები); 1953 წელი — ლიტვა (ვაჟები), მოსკოვი (ქალები), 1954 წელი — ლიტვა (ვაჟები), მოსკოვი (ქალები), 1955 წელი — ლენინგრადი (ვაჟები), მოსკოვი (ქალები).

# უკანასკნელ წამში

[თავ]დაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის (მოსკოვი) და კიევის „ბურევესტნიკის" შეხვედრის დაწყების წინ აზრთა სხვაობა [არ] ყოფილა. ეჭვს გარეშე იყო, რომ არმიელები მოიგებდნენ. მოსკოველთა მხარეს იყო გამოცდილება, [ძ]ალა, ოსტატობა. „ბურევესტნიკის" [მხა]რეს კი მხოლოდ ახალგაზრდული [შემართ]ება და მონდომება.

ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ [მათ], ვინც გუშინ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში მოვიდა ზამთრის საკავშირო შეჯიბრებაზე [დასასწრ]ებლად. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ვ. ჯაფარიძისა და საკავშირო კატეგორიის მსაჯის ა. ნაპ[ეტ]იანის სასტვენის ხმაზე გუნდები [გამოვიდ]ნენ მოედნის ცენტრში და [მა]ლე ბურთი შევიდა თამაშში...

შეხვედრის პირველი ნახევარი ყო[ველგვ]არი მოულოდნელობის გარეშე [ჩ]ატარდა. არმიელთა ხუთეული (ნოი[ევ]ი, სემიონოვი, ბოჩკარიოვი, ლაგა, [კ]აზაკოვი) ენერგიულად ავიწროებდა [მოწ]ინააღმდეგეს და თითქოს საკმაოდ [ად]ვილადაც კი აგროვებდა ქულებს. [კიე]ველმა სპორტსმენებმა რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს [დ]ა ანგარიშში განსხვავება ოდნავ შე[ამ]ცირეს. დაახლოებით მე-10 წუთი[დ]ან არმიელთა თამაშმა სიმწყობრე დაკარგა; თავი იჩინა მეტად საშიშმა [მოვლ]ენამ, რომელსაც საკუთარ ძალებზე ზედმეტად დარწმუნება ჰქვია. [ამიტ]ომ წუთში დაიკარგა ბრძოლით მოპოვებული უპირატესობა და [მე]-13 წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 32:32. ამ გარდატეხის გმირი იყო [კიე]ველი კუროვსკი (№ 6), რომელმაც [თამაშ]ში მეტად ეფექტური გასვლები დაიწყო და შეიტანა მოსკო[ველთა] დაცვაში. რამდენიმე წამის [მერე] კუროვსკიმ თავისი გუნდი წინ [წაიყვა]ნა, მაგრამ მცირე ხნით. არმი[ელებმ]ა კვლავ აიღეს ხელში ინიციატ[ივა,] კვლავ შეუტიეს კიეველებს კო[ლექტი]ურად და ტაიმი მოიგეს — [4]4:42.

[თამაშ]ის მეორე ნახევარში კიევის „ბურევესტნიკის" ძლიერ მოთამა[შეებ]ი ერთი მეორეზე სტოვებდნენ [მოედა]ნს, სათადარიგო შემადგენლო[ბა კი] ვერ იბრძოდა საჭირო ენერ[გიით.] მოსკოვის გუნდმა თავის აქტივში პირველი გამარჯვება ჩაიწერა — 91:70.

* * *

თბილისის „დინამოსა" და კაუნასის „ჟალგირისის" შეხვედრა, არა თუ ამ დღის, არამედ მთელი შეჯიბრების ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრათაგანი იყო. როდესაც ეს ორი გუნდი თამაშობს, ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა. ლიტველებზე ამბობენ, რომ ისინი კარგად თამაშობენ დარბაზში, მაგრამ გასულ წელს მათ ხომ წააგეს შეხვედრა თბილისის „დინამოსთან" სწორედ დარბაზში (ისიც თავის მოედანზე). თბილისელებზედაც ამბობენ, რომ ეს არის გუნდი რომელსაც არ უყვარს წაგება, მაგრამ შარშან, ზამთრის პირველობაზე სტალინგრადში ისინი სწორედ „ჟალგირისმა" დაამარცხა.

მაგრამ თბილისის დინამოელთა გუშინდელ მატჩზე შეიძლება ითქვას, რომ მათ სამჯერ მოუხდათ თამაშის მოგება. ჯერ ერთი პირველი ნახევრის შუაგულში, როდესაც ანგარიში 9 ქულით მიჰყავდათ (18:9). შემდეგ მეორე ნახევრის დასაწყისში, როდესაც კაუნასი ერთი ქულით იყო წინ. და ბოლოს, უკანასკნელ წამებზე, როდესაც სადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა 64:64-ს.

შეხვედრის პირველ წუთებზე ლიტველები დაწინაურდნენ (სტონკუსი, მატაჩუნასი, სტუმბრისი, დაპკუსი და ლაურიტენასი), მაგრამ გურამ მინაშვილის ოსტატური სროლის შემდეგ ანგარიში გახდა 6:5. დინამოელებმა (თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყეს ქორქია, ინწკირველი, კილაძე, მინაშვილი, გვანცელაძე) მომდევნო ორ წუთში საგრძნობლად გაზარდეს განსხვავება. ლიტველთა მწვრთნელმა აიღო წუთშესვენება. საჭირო იყო სამოქმედო გეგმის შეცვლა.

...ინიციატივა კაუნასელთა მხარეს გადადის. „დინამოს" იერიშებმა სიმწყვავე დაკარგა. კაუნასელი სტუმბრისი (№ 9) ბურთს რამდენჯერმე ისვრის შორ მანძილიდან და ყოველთვის მიზანს აღწევს. სანამ თბილისელთა დაცვა გადაჯგუფდა, პირველი ნახევრის დრო ამოიწურა 30:29.

მეორე ნახევარი თბილისელთა სწრაფი, ენერგიული იერიშებით დაიწყო, რომელშიც განსაკუთრებით მინაშვილი და ქლენტი გამოირჩეოდნენ. განსხვავება ნელ-ნელა იზრდება და მალე იგი აღწევს 10 ქულამდე — 63:53. გამარჯვება თითქოს უზრუნველყოფილია, მაგრამ მაშინ, როდესაც საჭირო იყო მისი შენარჩუნება დინამოელები მოეშვნენ. სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში — 64:64.

...თამაშის დამთავრებას აკლია სამი წამი. გურამ აბაშიძეს ეძლევა ორი საჯარიმო სროლის უფლება. ასეთ დროს ძნელია სიმშვიდის მოკრეფა. აბაშიძეზე იყო დამოკიდებული გუნდის გამარჯვება. სპორტსმენი ნერვიულობს და იგი იმავ წამს დაეტყო ნასროლს. ბურთი მოხვდა კალათის რგოლს და უკან გადმოვარდა. დარჩა კიდევ ერთი სროლა.

...ბევრმა ამ კრიტიკულ მომენტში თვალი დახუჭა, პირი იბრუნა ფარისაგან, მაგრამ უეცარი ტაშისცემა, რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილა შემდეგ უკვე თავისთავად ლაპარაკობდა მომხდარზე. თბილისის „დინამომ" მოიპოვა ძნელი და საპატიო გამარჯვება — 65:64.

**ნ. გუგუშვილი.**

კალათბურთი

# ფრენბურთი

## პირველი დღე

26 იანვარს თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში აღიმართა 1956 წლის ზამთრის შეჯიბრების დროშა.

მოედანზე პირველად გამოვიდნენ მოსკოვის „ბურევესტნიკისა" და რიგის „დაუგავას" გუნდები. დასაწყისში თამაში ვარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მოსკოველთა ძლიერ გუნდს რიგელებმა მონდომებული, შეწყობილი თამაში დაუპირისპირეს. ანგარიში „ბურევესტნიკმა" წაიყვანა, მაგრამ „დაუგავა" მოწინააღმდეგეს არ აძლევდა დიდი განსხვავებით წინ წასვლის საშუალებას — 1:1, 2:2, 5:5, 6:5, 8:5. შემდგომში მოსკოველებმა გატეხეს მეტოქის წინააღმდეგობა და პარტია მოიგეს ანგარიშით 15:10.

მეორე პარტიაში ბურევესტნიკელებმა ჯგუფური ბლოკით ჩაკეტეს რიგელთა გუნდის მთავარი „ბომბარდირი" აპაკოვსკი და იოლად გაიმარჯვეს — 15:7. უფერულად მიმდინარეობდა მესამე პარტია, სადაც კიდევ უფრო აშკარა შეიქნა მოსკოველთა უპირატესობა (15:10). საერთო ანგარიშით 3:0 გამარჯვება მოიპოვა „ბურევესტნიკმა".

მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის შეხვედრას რიგის თანაკლუბელებთან, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება (მე-5 ადგილი „ა" კლასში).

თამაშმა პირველი წუთებიდანვე უაღრესად დაძაბული ხასიათი მიიღო. სტუმრების ინდივიდუალურად მეტად ძლიერ თამაშს მასპინძლებმა დაუპირისპირეს კოლექტიურობა, მონდომება. სპორტის ოსტატების ლუცისის, პავლენკოვის, პლისმანისის, მარმაზის ძლიერ თავდასხმით ჩარტყმებს წარმატებით უყენებდნენ ბლოკს ი. კალიანდრა, გუსევი, ბობილევი, ხოლო ლიბინშის ბურთებს, რომელიც ბლოკს ზემოდან აგზავნიდა ბურთებს თბილისელთა ნახევარზე, აკრობატული ნახტომებით იღებდნენ ჟიგულინი, კუჭავა, ბუინოვი. მთელი პარტიის მსვლელობაში ანგარიში ან თანაბარი იყო, ან რიგელთა სასარგებლოდ 1-2 ქულით. მხოლოდ დასასრულს შეძლეს ლიბინშმა და პავლენკოვმა გადამწყვეტი ქულების მოპოვება. გაიმარჯვა რიგამ — 15:8.

ჩინებულად ჩაატარეს თბილისელმა არმიელებმა მეორე პარტია. მთელი გუნდი მოქმედებდა აღმავლობით, ენერგიულად, შეთანხმებულად. ი. კალიანდრას ძლიერ დარტყმებს, გუსევისა და ჟიგულინის ცრუ მოძრაობებს ქულა ქულაზე მოჰქონდა. ერთსულოვანმა თამაშმა მასპინძლებს მოუტანა გამარჯვება — 15:10.

შემდგომ პარტიებში რიგელებმა გარდაქმნეს თამაში. გააქტიურდნენ ლუცისი, პავლენკოვი, ტიტოვი, თბილისელებმა კი შეასუსტეს ცენტრი. მესამე პარტია სტუმრებმა მძიმე ბრძოლაში მოიგეს ანგარიშით 15:12.

განსაკუთრებით დაძაბული იყო გადამწყვეტი, მეოთხე პარტია. როცა ფარებზე ეწერა 14:14 მოწოდება დიდხანს გადადიოდა ერთი გუნდის ხელიდან მეორეში. საბოლოოდ რიგელებმა შეძლეს ორი ქულის მოპოვება და მოიგეს პარტია 16 14 და მასთან შეხვედრაც — 3:1.

## მეორე დღე

შეჯიბრების მეორე კალენდარულ დღეს საყოველთაო ინტერესს იწვევდა „ა" კლასის ორი წამყვანი გუნდის — მოსკოვის „დინამოსა" და მოსკოვის „ბურევესტნიკის" შეხვედრა, მაგრამ ძალთა შეფარდება ამ მატჩში არათანაბარი აღმოჩნდა. ახალგაზრდა დინამოელებმა ვერ ააწყვეს თამაში, ვერ შეძლეს კოშელევის, ლობანოვის, მიტიაგინის ძლიერი დარტყმების მოგერიება. პირველ პარტიაში სმოლიანინოვმა, კოშელკინმა და გავრილოვმა რამდენადმე მაინც შეძლეს შეემცირებინათ სხვაობა ანგარიშში და „დინამომ" წააგო 11:15.

შემდეგ პარტიაში „ბურევესტნიკი" თავის ძალებში კიდევ უფრო მეტი დარწმუნებით თამაშობდა და ზედიზედ გაიმარჯვა კიდეც — 15:7, 15:8.

მეტად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა რიგის გუნდების შეხვედრა. ოფიცერთა სახლის ძლიერი კოლექტივის წინააღმდეგ „დაუგავა" გამოვიდა გამარჯვებისადმი დიდი რწმენით. ეტყობოდა, რომ თანაქალაქელები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ამიტომ შემთხვევითობის ელემენტი თითქმის მინიმუმამდე იყო დაყვანილი. არმიელთა ყოველ ქულას დაუგაველები ქულითვე პასუხობდნენ და პირველი პარტია არმიელებმა მხოლოდ 15:12 მოიგეს.

მეორე პარტიაში „დაუგავამ" კიდევ უფრო მეტი აქტივობა გამოიჩინა და გაიმარჯვა — 15:11. მომდევნო პარტია ოფიცერთა სახლის გუნდმა კვლავ ძლიერად ითამაშა და მოიგო იგი — 15:8. შეხვედრის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მეოთხე პარტიაში „დაუგავამ" ისევ გაათანაბრა საერთო ანგარიში — 2:2 (17:15).

გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში „დაუგავას" ფრენბურთელები დაიღალნენ და არმიელებმა იოლად დაძლიეს მათი წინააღმდეგობა — 15:8.

## მესამე დღე

გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები — ოფიცერთა სახლის გუნდი (რიგა) და „ბურევესტნიკი" (მოსკოვი).

ლიდერთა პირველი პარტია თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და დამთავრდა „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ — 15:13. მომდევნო პარტიებში სურათი შეიცვალა. რიგელებმა დაკარგეს მათთვის ჩვეული სიდინჯე და კოლექტიურობა, არაზუსტად თამაშობდნენ ლიბინში და პავლენკოვი. ხშირი იყო შეცდომები დაცვაში. მოსკოველები ამჯერადაც შეწყობილად და მრავალფეროვნად მოქმედებდნენ. განსაკუთრებით კარგად აქვთ მათ დამუშავებული კომბინაცია ჩამრტყმელი მოთამაშის ფარული გაყვანით ბადესთან. ამ როლს წარმატებით ასრულებდნენ მიტიაგინი და ცერეცინი. დაცვაში უშეცდომოდ თამაშობდნენ პავლოვი და ლობანოვი. ანგარიშით 15:9 და 15:11 „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ დამთავრდა მეორე და მესამე პარტიები. ამრიგად, მეოთხე ტურისათვის დაუმარცხებელი დარჩა მხოლოდ მოსკოვის „ბურევესტნიკი".

სუსტად დაიწყო თამაში მოსკოვის „დინამოს" წინააღმდეგ თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა. არმიელებმა კარგა ხნის მანძილზე ბლოკის ორგანიზება ვერ მოახერხეს და დინამოელები სმოლიანინოვი, ხლისტოვი და კოშელკინი დაუბრკოლებლად ახორციელებდნენ ძლიერ დარტყმებს. ვერ გამოსდიოდა თამაში თბილისელთა თავდასხმის ლიდერს ი. კალიანდრას. ამის შედეგად მოსკოველებმა ადვილად მოიგეს ორი პარტია — 15:7, 15:5.

ასეთმა დასაწყისმა სტუმართა შორის ნაადრევი თვითდამშვიდება შეიტანა, არმიელებმა კი სწრაფად გამოასწორეს თამაში და თავიდანვე წაიყვანეს ანგარიში ჯერ 4:0, შემდეგ 6:2 და 9:2. სანამ დინამოელები მოასწრებდნენ მთელი ძალით ამოქმედებას, თბილისელებმა პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 15:6.

მეოთხე პარტიაში კარგა ხანს დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ მოსკოველებმა მაინც შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და მოიგეს იგი ანგარიშით 15 8 საბოლოო ანგარიშია 3:1 „დინამოს" სასარგებლოდ.

შეჯიბრება გრძელდება.

**რ. ქორიძე**





**სურათზე:** (მარცხნივ) თქვენ ხედავთ რიგის ოფიცერთა სახლის გუნდის მწვრთნელს, რომელიც ხშირად აწუხებდა მსაჯთა კოლეგიას პროტესტებით მსაჯების მიმართ. თბილისელმა ი. კალიანდრამ ბევრჯერ აიღო ასეთი „მკვდარი" ბურთი, მაგრამ თავისი გუნდი დამარცხებისაგან მაინც ვერ იხსნა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# მექსიკელი

## ჯეკ ლონდონი

— უნდა დაეცეს! — ყური მოკრა მაიკლის სიტყვებს რობერტსი თავს უქნევდა. — დენიმ უნდა მოიგოს. მთელი სიმდიდრე მეკარგება. უამრავი ფული ჩავყარე სანაძლეოში, — ჩემი საკუთარი ფული. მეთხუთმეტე რაუნდსაც რომ გაუძლოს — გავკოტრდები. ეგ ბიჭი შენ უფრო დაგიჯერებს. იქნებ დაიყოლიო!

ახლა კი გამოფხიზლდა რივერა. წარსულის სურათები და მოგონებანი სადღაც გაქრნენ. მას ატყუებდნენ! გაცეცხლებულმა კიდევ ერთხელ მოიქნია მუშტი. დენი კვლავ დაეცა. ხელებჩამოშვებული რივერა ისვენებდა. რობერტსი ადგა.

— კარგი, ჰო! შენს კუთხეში მიდი! — მბრძანებლური კილოთი უთხრა რივერას რობერტსმა. მხოლოდ სავარჯიშო დარბაზებში ლაპარაკობდა რობერტსი ასე. რივერამ სიძულვილით გადახედა. იგი დენის ადგომას უცდიდა. წუთშესვენებისას რივერას კუთხესთან კელი გაჩნდა.

— თავი ანებე, ეშმაკმა წაგიღოს, — დაბალი, ულიამოვნო ხმით წასჩურჩულა რივერას. — გამიგონე, რივერა, დაეცი გესმის? ოღონდ ახლა დამიჯერე და შენი კარიერა ჩემზე იყოს. დენის სხვა დროს დაგაგდებინებ. ოღონდ ახლა დაეცი, ოღონდ დაეცი!

რივერამ თვალებით აგრძნობინა, რომ ყველაფერი გაიგონა, მაგრამ არც თანხმობა, არც უარყოფა არ უნიშნებია.

— ხმა ამოიღე — მოთმინებიდან გამოვიდა კელი.

— ორივე შემთხვევაში წაგებული ხარ, — დაუმატა სპაიდერ ჰეგერტმა, რომც მოიგო, მსაჯი არ მოგაგებინებს. გირჩევნია, კელის დაუჯერო და დაეცე

— დაეცი ბიჭო, — ემუდარებოდა კელი. — ოღონდ დაეცი და ჩემპიონს გაგხდი.

რივერამ არაფერი უპასუხა.

— გეფიცები ჩემპიონს ვაგხდიმეთქი, ოღონდ ახლა მიშველე, ბიჭო:

გონგის დაკვრასთან ერთად რივერა ერთბაშად შეძრწუნდა. დარბაზმა ვერაფერი გაიგო. რივერამ ბუნდოვნად იგრძნო, რომ რაღაც ხდებოდა, აქვე, რინგზე, მის ახლოს. დენის პირვანდელი თვითკმაყოფილება დაუბრუნდა. საკუთარ წარმატებაში დარწმუნებულმა დენიმ შეაშინა რივერა. მეტად სახიფათო ფანდს უმზადებდა მექსიკელს. დენი თავბრუ-

დასასრული იხ. „ლელო“ № 8.

დამხვევი სისწრაფით წამოვიდა. რივერამ გაცლა არჩია. იგი გვერდ-გვერდად იხევდა უკან; მუშტებს იცდენდა. დენი ხელხლართვისათვის იბრძოდა. იმ საშინელი ფანდისათვის სჭირდებოდა ხელხლართვა. რივერა უკან იხევდა, მეტოქის გარშემო ტრიალებდა. თუმცა-ღა ვრძნობდა, ადრე თუ გვიან ხელხლართვა და ის საბედისწერო ფანდი არ ასცდებოდა, მაინც თავგამეტებით ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა მოწინააღმდეგეს. დენის მეორე შემოტევისას ისე მოიქცა თითქოს ხელხლართვას ილებდა. და სწორედ მაშინ, როცა მათი სხეულები ერთმანეთს უნდა გადაჭდობოდა, რივერა ელვის სისწრაფით გამოეცალა ქვემოდან. იმ წამსვე დენის კუთხეში უკმაყოფილო ყვირილი ატყდა — კრივის წესების დარღვევას სწამებდნენ რივერას. რივერამ გააბრიყვა ისინი. მოხერხებულად მოატყუა. მსაჯი გაუბედავად იდგა, ყოყმანობდა. „უსვინდისოდ მუშაობს!“ — აღარ დააცადა მსაჯს ქანდარიდან ვიღაც ბიჭის გამყივანმა ხმამ.

დენი უკვე ხმამაღლა აგინებდა რივერას. გაჩერებას აძალებდა. რივერა კი განვანზე როკავდა, ერთი მტკიცე გადაწყვეტილებით — მეტი აღარ მოერტყა მეტოქისათვის — კორპუსში. ამით მექსიკელი თითქმის სანახევროდ ჰკარგავდა მოგების შანსს. დისტანციაზე ბრძოლით უნდა მოეგო როგორმე. უმნიშვნელო საბაბიც რომ მიეცა, მსაჯი კრივის წესების დარღვევას დასწამებდა. დენიმ ყოველგვარი სიფრთხილე დაჰკარგა. ორი რაუნდის განმავლობაში გამეტებით ურტყამდა მეტოქეს, რომელიც შიშით ახლოს ვერ უდგებოდა. ისევ და ისევ ხვდებოდა რივერას მაგარი მუშტები. მექსიკელი დარტყმებს ღებულობდა, ოღონდ ის მომაკვდინებელი ხელხლართვა აეცდინა. დენის უკიდურესმა დაძაბულობამ და კრიტიკული მომენტის სიახლოვემ ხალხი მთლად შეშალა. დარბაზი ფეხზე იდგა და ღრიალებდა. ბრბო ერთსა ხედავდა: მისი ფალავანი მაინც იმარჯვებდა.

— რატომ არ იბრძვი? რას გაჩერებულხარ?! — ღრიალებდა მოთმინებიდან გამოსული დარბაზი.

— ყვითელკანიანო! ყვითელკანიანო!

— ღიად იმუშავე, ლაჩარო, ღიად!

— მიდი, მიდი, დენი, სული ამოხადე მაგ ლაწირაკს!

— ბოლო შენია. დენი, რაღას უყურებ!

მთელ დარბაზში მხოლოდ რივერა იყო მშვიდად. სისხლითა და ტემპერამენტით ყველაზე მხურვალე და თავაწყვეტილი. ბრძოლების ქარცეცხლში გამოვლილს ეს ათიათასი ხორხის შერწყმული ღრიალი ზაფხულის ღამის გრილ სიოდ ესალმუნებოდა გახურებულ შუბლზე.

მეჩვიდმეტე რაუნდში დენიმ მიაღწია საწადელს. რივერა მძიმე დარტყმამ ჩაკეცა. ხელები უმწეოდ ჩამოუვარდა. დენიმ იფიქრა, გამარჯვება ჩემია, მექსიკელი ახლა კი ვერსად წამივაო. რივერამ კი რომელიც განზრახ თავს იკატუნებდა, თვალი შეასწრო, რომ დენიმ თავდაცვა შეასუსტა, და გაქანებული მუშტი პირდაპირ კბილებში სთხლიშა. დენი დაეცა. ადგომა ძლივს მოასწრო, რომ რივერამ ისევ მოარტყა ქვედა ყბაში. სამჯერ გაიმეორა ასეთი დარტყმა რივერამ. ყველაზე უსამართლო მსაჯსაც კი ვაუძნელდებოდა ასეთი დარტყმის უპირთებულოდ ჩათვლა.

— ო, ბილ! ბილ! — ევედრებოდა მსაჯს კელი.

— არაფერი შემიძლია, — საცოდავად მიუგო მსაჯმა, — საბაბს არ მაძლევს.

ძალაგამოლეული, დასისხლული დენი მაინც დგებოდა ფეხზე. კელიმ და კიდევ რამდენიმემ, რომელნიც რინგთან ახლოს იდგნენ, განგაში ატეხეს, კრივის შესაჩერებლად პოლისმენს დაუძახეს. დენის სეკუნდანტები კვლავ იქნევდნენ პირსახოცებს. რივერამ თვალი მოჰკრა სქელ პოლისმენს, რომელიც მოუხეშავად ძვრებოდა თოკებში და ვერაფერს მიხვდა. ათასგვარი ხრიკები არსებობდა გრინგოთა ამ დაწყევლილ თამაშში! დენი ძლივს იდგა ფეხზე, უმწეოდ ბარბაცებდა რივერას ცხვირწინ. მსაჯმა და პოლისმენმა ერთად წაიწიეს რივერასაკენ, მაგრამ რივერამ უკვე მოიქნია მუშტი. ბრძოლის შეჩერება აღარ იყო საჭირო. დენი აღარ დგებოდა.

— დაითვალე! — ჩახლეჩილი ხმით დაუყვირა რივერამ მსაჯს.

თვლა რომ დამთავრდა, სეკუნდანტებმა ძლივს გაათრიეს გამხლართული დენი.

— ვინ მოიგო? — იკითხა რივერამ.

მსაჯმა უხალისოდ ააწევინა რივერას ხელთათმანიანი მარჯვენა.

არავის მიულოცია გამარჯვება. არავინ მიჰყოლია კუთხემდე. სეკუნდანტებმა სკამიც არ დაუდგეს: ზურგით მეეყრდნო თოკებს რივერა. ზიზღჩამდგარი თვალები მიატარ-მოატარა დარბაზში. ათიათას გრინგოს მოავლო მზერა. მუხლები უცახცახებდა, სულს ძლივს იბრუნებდა. მის წინ თავბრუდამხვევად ირწეოდა საძულველი სახეების ზღვა. სახეები კვლავ თოფებად იქცნენ, თოფების ტალღებმა დაუბნელა მზერა. თოფები უკვე მას ეკუთვნოდა! რევოლუციას შეეძლო წინსვლა!

თარგმანი ლ. ბოკერიასი.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედაქალაქის პირველობა

### გრძელდება თბილისის საჭადრაკო ჩემპიონატი

ჩვეულებრივ, როგორც კი შეჯიბრებაში ლიდერები გამოვლინდებიან, ისინი მონაწილეებისა და მაყურებელთა ყურადღების ცენტრში არიან. ამიტომ გასაგებია, თუ რა ინტერესის მომცველი იყო პირველობის ლიდერის ბლაგიძის შეხვედრა ახალგაზრდა პირველთანრიგოსან გ. კალატოზიშვილთან. ამ პარტიაში მომხდარმა შინაარსიანმა ბრძოლამ ყველანი დააკმაყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიაში ადრე გაიცვალა ლაზიერები, კალატოზიშვილმა კარგად გამოიყენა გამოცდილი მოწინააღმდეგის რამდენიმე შეუმჩნეველი შეცდომა და გაიმარჯვა. მორიგ ტურში კალატოზიშვილმა კვლავ კარგად ითამაშა და ბუსლაევთან პარტია ყაიმით დაამთავრა.

ლიდერობისათვის ბრძოლაში მნიშვნელობა ჰქონდა მაჭავარიან-გიორგაძის შეხვედრას. პარტია მოიგო ვაორგაძემ. სამაგიეროდ შემდეგ [...] მაჭავარიანმა ცხარე ბრძოლ[...] ამარცხა კაკიაშვილი და კე[...] უდგა შეჯიბრებას სათავეში.

აღსანიშნავია ახალგაზრდა ზ[...] ძის შესანიშნავად მოგებული [...] თხელიძესთან. ორი ფიგურ[...] წირვით მან დააშამათა მოწინა[...] გის მეფე. ეს პარტია გათამაშ[...] ტურებში ყველაზე მოსაწონ[...] კობიამ საინტერესო მანევრებით [...] გო ენდელი გაფრიანდაშვი[...] მოასწორა მდგომარეობა [...] რომელმაც დაამარცხა ოსტა[...] კანდიდატი გერშკოვიჩი და თ[...] ტანიშვილი.

ხუთი ტურის შემდეგ ბლ[...] ბუსლაევსა და მაჭავარიანს — 3[...] ლა აქვთ თვითეულს, გიორგაძ[...] ლატოზიშვილსა და ჯაკობი[...] ქულა თვითეულს, ლომაიას [...] ქულა და ა. შ.

## რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში

### წყალტუბო

დამთავრდა რაიონის პირველი სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა 800-ზე მეტი სპორტსმენი. პროგრამაში იყო: ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, მძლეოსნობა, ველოსპორტი და ტყვიით სროლა.

ქალაქის ქართული საშუალო სკოლის გუნდმა შესანიშნავად ჩაატარა შეხვედრები ფეხბურთში და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა. მძლეოსანთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს რუსული საშუალო სკოლის სპორტსმენებმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია კალათბურთელთა ასპარეზობამ, რომელიც რაიონში პირველად მოეწყო. სპორტის ამ სახეობაში კარგად მომზადებული ვამოვიდა რუსული საშუალო სკოლის გუნდი და გაიმარჯვა.

სპარტაკიადაში პირველობა წილად ხვდა რუსული სკოლის გუნდს.

შ. გენძეხაძე

* * *

### გურჯაანი

სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლის მძლეოსანთა პირად-გუნდურ შეჯიბრებაში უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის გაიმარჯვეს VII კლასის მოსწავლეებმა. უფროსებში უძლიერესნი აღმოჩნდნენ IX კლასის ჭაბუკთა და X კლასის გოგონათა გუნდები.

თ. გოგიაშვილი

## მაყურებელთა გაუგება[...]

გასული წლის ივლისის [...] რიცხვებში საფრანგეთში მ[...] რეობდა შეჯიბრებები მძლეო[...] ში პროვინციების პირველ[...] მაგრამ უმეტეს პროვინც[...] ურის ტყორცნაში შეჯიბრე[...] ჩატარებულა, რადგან მ[...] ლები... გაიფიცნენ. ეს გამოწ[...] იყო იმით, რომ ერთ-ერთმა ქა[...] რომელიც უროებს ამზადებდ[...] რანგეთის მძლეოსანთა კავშირ[...] ყიდა უვარგისი უროები, რო[...] ტყორცნა შეუძლებელი იყო.

რედაქტორი ი. უგულა[...]

1956 წლის 30 იანვარს სა[...] 7 საათზე, თოჯინების სახელმ[...] ქართული თეატრის შენ[...] (რუსთაველის გამზირი № 37[...] ქართველოს სსრ პოლიტიკურ[...] მეცნიერული ცოდნის გამავრც[...] ბელი . საზოგადოება აწყობს [...] კავშირის სპორტის დამსახურ[...] ლი ოსტატის, საბჭოთა კ[...] რისა და მსოფლიოს ჩემპ[...]

ვახტანგ ბალავაძის

საჯარო ლექციას თემაზე „საბ[...] კავშირის მოჭიდავეთა ნა[...] გუნდების მონაწილეობა საე[...] შორისო შეჯიბრებებში“.

ბილეთების წინასწარი შეძენ[...] იძლება საზოგადოების რწ[...] ბულთან. განცხადება კოლექ[...] დასწრებისათვის მიიღება ტელ[...] ნით 3-12-93.



ამას წინათ შანხაიში ჩატარდა საბჭოთა სპორტსმენებისა და შანხაის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა შეჯიბრება მძლეოსნობაში. სურათზე: 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებულები მარცხნიდან — ე. ოკოროკოვი, გ. ივაკინი და ლი ჩუნ-ლინი.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 006[...]